




საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

ცნობის ფურცელი

№3, 2016



მიმდინარე კონკურსები

1. 2016 წლის 6 ივნისს გამოცხადდა კონკურსი სრულმეტრაჟიანი და მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის 2016 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 220 000 ლარი), შემოვიდა 27 პროექტი, 15 აგვისტოს სხდომაზე საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 4 პროექტი:
 - პროექტი – „სატრფიალო. პასტორალი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „თთფილმი“ დირექტორი - თამარ გურჩიანი, რეჟისორი - თინათინ გურჩიანი);
 - პროექტი – „ისტორია საოჯახო ალბომიდან“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „საქდოკ ფილმი“ დირექტორი - ანნა ძიაპშიპა, რეჟისორი - ანნა ძიაპშიპა);
 - პროექტი - „სანამ მამა დაბრუნდება“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნუში ფილმი“ დირექტორი - თეკლე მაჭავარიანი, რეჟისორი - მარიამ გულბიანი);
 - პროექტი - „აბასთუმანი“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „კავშირი ოპიოდოკი“ დირექტორი მარიამ ჭაჭია, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია, ნიკ ვოიგთი).
2. 2016 წლის 13 ივნისს გამოცხადდა კონკურსი მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 150 000 ლარი), შემოვიდა 38 პროექტი, 30 აგვისტოს სხდომაზე საექსპერტო კომისიის რეკომენდაციით დაფინანსდა 5 პროექტი:
 - პროექტი - „გაბანა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Film Asylum“ დირექტორი ვალერიან კირკიტაძე, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი);
 - პროექტი - „ერთი ჩვეულებრივი არაჩვეულებრივი დღე“ საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტ ფაბრიკა“ დირექტორი - თამაზ ორაშვილი, რეჟისორი - გიორგი შენგელაია);
 - პროექტი - „დელგმა“ საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბი-აი-თი სტუდიო“ დირექტორი მარიამ ბიწაძე, რეჟისორი - ანა კვიჭიძე;
 - პროექტი - „პამპულობანა“, (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრ ფილმი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - ამირან დოლიძე);
 - პროექტი - „როცა პეპლები იწყებენ ფრენას“ საპროდიუსერო კომპანია - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“ დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუზურია.
3. 2016 წლის 21 ივნისს გამოცხადდა სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2017 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 900 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 01.11.2016 წელი.
4. 2016 წლის 15 აგვისტოს გამოცხადდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2017 წლის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების დაფინანსების კონკურსი (საკონკურსო ფონდი 500 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 02.12.2016 წელი.

ახალი კონკურსები

1. 2016 წლის 15 ივნისს გამოცხადდა კონკურსი მცირებიუჯეტური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის 2016 – 2017 წლის წარმოების დაფინანსების მიზნით (საკონკურსო ფონდი 360 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 24.10.2016 წელი.
2. 2016 წლის 17 ივნისს გამოცხადდა კონკურსი დოკუმენტური (მოკლემეტრაჟიანი ან სრულმეტრაჟიანი) ან მხატვრული (მოკლემეტრაჟიანი) ფილმის დასრულების მიზნით (საკონკურსო ფონდი 120 000 ლარი), პროექტების შემოტანის ბოლო ვადაა 21.11.2016 წელი.
3. წერე ქართულ კინოზე - კონკურსი კინომცოდნეებისთვის!

კინომცოდნეობისა და კინოკრიტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნით საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ინიციატივით 2016 წლის 12 სექტემბერს გამოცხადდა კონკურსი - წერე ქართულ კინოზე!

კონკურსის შედეგად გამოვლინდება სამი გამარჯვებული სტუდენტი.

კონკურსში გამარჯვებულები გამოცხადდება თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე 2016 წლის 4 დეკემბერს.

პირველ ადგილზე გასული სტუდენტი დაესწრება ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალს. კინოცენტრი მას დაუფინანსებს ფესტივალის აკრედიტაციას, მგზავრობის, დღიურ და სასტუმრო ხარჯებს.

მეორე ადგილზე გასული სტუდენტი დაჯილდოვდება საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი წლის დაფინანსებით ან სტიპენდიით (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი).

მესამე ადგილზე გასული სტუდენტი დაჯილდოვდება საქართველოს უნივერსიტეტში სწავლის ერთი სემესტრის დაფინანსებით ან სტიპენდიით (იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს მოპოვებული აქვს სასწავლო გრანტი).

განაცხადის შემოტანის ბოლო ვადაა 2016 წლის 5 ოქტომბერი, 17:00 სთ.

“ჩემი ბედნიერი ოჯახი”



www.gnfc.ge



“ანა”



“ზიბულა”

- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეოთხე ბრაიტონი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კინო იბერიკა“ დირექტორი - ლევან კოლუაშვილი, რეჟისორი - ლევან კოლუაშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „საშიში დედა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - ანა ურუშაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უარყოფითი რიცხვები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მაგნეტ ფილმს“ დირექტორი - დავით ისაკაძე, რეჟისორი - უტა ბერია).
- მოსამზადებელ პერიოდშია ერთობლივი ქართულ - უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორმოცდასამი 43“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინეტექი“ დირექტორი - რუსუდან გლურჯიძე, რეჟისორი - დიმიტრი ცინცაძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „როცა პეპელები იწყებენ ფრენას“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „საქართველოს კინოსაინვესტიციო ჯგუფი“, დირექტორი - ირაკლი ჩიკვაძე, რეჟისორი - ბექარ ჯგუბურია).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ზოლემია“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/საწარმო „ქეთევან ჯანელიძე“, მხატვარ/ანიმატორი - ნინა სამანიშვილი).
- გადაღების პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის პროექტი „ჯიბის კაცი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „კვალი XXI“ პაატა შენგელია, ანიმატორი - ანა ჩუბინიძე).
- გადაღების პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მეზობლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ დირექტორი - ლაშა ხალვაში, რეჟისორი - გრიგოლ აბაშიძე).
- გადაღების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნამე“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, რეჟისორი - ზაზა ხალვაში).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „Polare Film“ დირექტორი - ნანა ექვთიმიშვილი, რეჟისორები - ნანა ექვთიმიშვილი, სიმონ გროს).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ხიზულა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“ დირექტორი - ნინო დევდარიანი, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „აღლუმი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს ახალი ქართული ფილმი“ დირექტორი - ნიკა აბრამაშვილი, რეჟისორი - ნინო ჟვანია).

- სამონტაჟო პერიოდშია სადებიუტო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გაპიკოება“ (საპროდიუსერო კომპანია - ინდ/მეწარმე გიო მგელაძე - კატმანდუ, რეჟისორი - გიორგი მგელაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „უცხო“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „მილიმეტრი“ დირექტორი - სულიკო წულუკიძე, რეჟისორი - დიმიტრი მამულია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი ქართულ-გერმანულ-უკრაინულ - ბულგარული პროექტი „ურსუს“-ი (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდიო“, რეჟისორი - ოთარ შამათავა).
- სამონტაჟო პერიოდშია ერთობლივი ქართულ-უცხოური სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მძევლები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „20 Steps Productions“ დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - რევაზ გიგინეიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბაქანი გრეხილი ავეჯი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტეფაქტ პროდაქშენი“, დირექტორი - ივანე არსენიშვილი, რეჟისორი - ნინო ორჯონიკიძე, ივანე არსენიშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „პიონერთა სასახლე“ (პროდიუსერი - ააიპ „Matchhouse Film“ დირექტორი - ანა ციმინტია, რეჟისორი - ანა ციმინტია).



„ურსუსი“



„მზის ქალაქი“

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ვსაუბრობთ ფულზე“ (პროდიუსერი - შპს „ზაზარ ფილმი“ დირექტორი - ზაზა რუსაძე, რეჟისორი - სებასტიან ვინკელსი, ზაზა რუსაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანა“ (პროდიუსერი - შპს „ფოკუს პროდაქშენს“ დირექტორი - თამარ თვარაძე, რეჟისორი - მარგალიტა ზუბაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „მეთევზე და გოგონა“ (პროდიუსერი - შპს 20 Steps Productions დირექტორი - ვლადიმერ კაჭარავა, რეჟისორი - მამუკა ტყეშელაშვილი).
- სამონტაჟო მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „შეყვარებული ბაყაყი“ (პროდიუსერი - შპს „ელიენ ქინდ“ დირექტორი - გიორგი კვაჭაძე, რეჟისორი - ვალ ხარიტონაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მზის ქალაქი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ონელი ფილმ ასოციაცია“ დირექტორი - რატი ჯგერაშვილი, რეჟისორი - რატი ჯგერაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მისტერ ჯონსონ“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - თამარ მშვენირაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სადიპლომო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ორნი“ (საპროდიუსერო კომპანია - საქ. შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, რეჟისორი - ნათია გოგალაძე).

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია - ფ/პირი ირაკლი ზადათურია, რეჟისორი - გელა კანდელაკი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ნივთები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „CINEMARK“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მოუსმინე სიჩუმეს“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „ოპიოდოკი“ დირექტორი - ნინო ჯინჭარაძე, რეჟისორი - მარიამ ჭაჭია).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ჯინო“ (საპროდიუსერო კომპანია - შსგ „ლირა ფროდაქშენი“, რეჟისორი - დათო კიკნაველიძე).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ანდრო“ (პროდიუსერი - შპს „პანსიონატი“ დირექტორი - ნოდარ ნოზაძე, რეჟისორი - თორნიკე გოგრიჭიანი).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ქალები რომლებიც ცურავენ“ (პროდიუსერი - შპს „ჯემინი“, დირექტორი - თინათინ ყაჯრიშვილი, რეჟისორი - ანა ბუკია).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ნიკო“ (პროდიუსერი - შპს „რეფრემ სტუდია“ დირექტორის მინდობილი პირი - თეა აბაშმაძე, რეჟისორი - გიგა ბაინდურაშვილი).
- განვითარების პერიოდშია კომედიური ჟანრის და საბავშვო სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარის განვითარების პროექტი „გაცხადებული სიზმარი“ (პროდიუსერი - ააიპ „საავტორო ფილმების სტუდია“, სცენარის ავტორი - ზურაბ ინაშვილი).
- განვითარების პერიოდშია კრეატიული დოკუმენტური ფილმის პროექტი „ტერორისტი“ (პროდიუსერი - შპს „ვიზუალური ხელოვნების ცენტრი“ დირექტორი - ქეთევან გალდავაძე, რეჟისორი და სცენარის ავტორი - ირაკლი მახარაძე).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ბალიაური“ (პროდიუსერი - შპს „სტუდია - 99“ დირექტორი - კარინე სარდლიშვილი, სცენარის ავტორები - ვაჟა გიგაშვილი, დავით ჯანელიძე).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ქაქუცა“ (პროდიუსერი - შპს „შემოქმედებითი საწარმოო გაერთიანება ლირა ფროდაქშენი“ დირექტორი - ლალი კიკნაველიძე, სცენარის ავტორი - მიხო მოსულიშვილი).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მეფე“ (პროდიუსერი - შპს „ნალი“ დირექტორი - ირაკლი სოლომანაშვილი, სცენარის ავტორი - ირაკლი სოლომანაშვილი).



„ჯიბის კაცი“



„ზოლემია“



„ნიკო“

- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „წვიმა ორ ნაპირზე“ (პროდიუსერი - შპს „ბათუმის საავტორო ფილმების დამოუკიდებელი სტუდია“ დირექტორი - ზაზა ხალვაში, სცენარის ავტორი - ზაზა ხალვაში).
- განვითარების პერიოდშია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „გაბრაზებული პარფიუმერი“ (პროდიუსერი - შპს „ბისსტუდო“ დირექტორი - ბესიკ სოლომანაშვილი, სცენარის ავტორები - ბესიკ სოლომანაშვილი, რუსუდან შარაძე).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ქვეყნის მტერი“ (პროდიუსერი - შპს „ვარს-სტუდია“ დირექტორი - თორნიკე ღლონტი, სცენარის ავტორი - გიორგი ვარსიმაშვილი).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „ერგეაშვა“ (პროდიუსერი - შპს „აბკ სტუდია“ დირექტორი - მამუკა ჩიხრაძე, სცენარის ავტორი - დავით ქვარცხავა).
- განვითარდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „შავი მერცხლის ფრენა“ (პროდიუსერი - შპს „კავკასიური ფილმოდრომი“ დირექტორი - რუსუდან პირველი, სცენარის ავტორი - გივი (ბესო) ოდიშარია).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „ასინქრონი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ნიკე სტუდო“ რუსუდან ჭყონია, სცენარის ავტორი - ეკატერინე ტოგონიძე).
- განვითარების პერიოდშია 21-ე საუკუნეში შექმნილი და გამოცემული ლიტერატურული ნაწარმოების მიხედვით სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტი „მოქალაქე წმინდანი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „არტიზმი“ ლაშა ხალვაში, სცენარის ავტორები - გია ალავიძე, თინათინ ყაჯრიშვილი).



ქართული ფილმი „სხვისი სახლი“ კარლოვი ვარის, ბერგენის და ერაზმის კინოფესტივალების გამარჯვებულია

რუსუდან გლურჯიძის ფილმი „სხვისი სახლი“ კარლოვი ვარის კინოფესტივალის გამარჯვებული გახდა. „სხვისი სახლი“ საუკეთესო ფილმად საკონკურსო პროგრამაში East of the West აღიარეს. კარლოვი ვარის ფესტივალი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის წამყვანი და ყველაზე პრესტიჟული კინოფესტივალია, რომელიც ჩეხეთის ქალაქ კარლოვი ვარში 1946 წლიდან იმართება და A-კლასის კატეგორიას მიეკუთვნება.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ფილმის შემოქმედებითი ჯგუფი მედიის წარმომადგენლებს შეხვდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩოში ელჩმა ტომას პერნიცკმა კარლოვი ვარში ფილმის გამარჯვების აღსანიშნავად სპეციალური მიღება გამართა. მიღებას დიპლომატიური კორპუსისა და კინოსექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

მოგვიანებით, 28 სექტემბერს „სხვისი სახლი“ მორიგი საერთაშორისო ჯილდოს მფლობელი გახდა. ფილმმა ნორვეგიაში, ბერგენის საერთაშორისო კინოფესტივალზე გრან პრი მოიპოვა.

ბერგენის კინოფესტივალი ნორვეგიაში 2000 წლიდან იმართება და ქვეყანაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ღონისძიებად ითვლება.

30 სექტემბერს „სხვისი სახლი“ ერაზმის საერთაშორისო კინოფესტივალზე კიდევ 2 ჯილდოს მფლობელი გახდა. ფილმს გადაეცა გრან პრი და NETPAC-ის პრიზი. NETPAC საერთაშორისო კულტურული ორგანიზაციაა, რომელიც კინემატოგრაფისტებს, კინოკრიტიკოსებს და სხვადასხვა საერთაშორისო კინოფესტივალის ორგანიზატორებს აერთიანებს.

საქართველო ოდესის კინოფესტივალზე

საქართველო ოდესის კინოფესტივალზე წელს საკმაოდ მასშტაბურად იყო წარმოდგენილი.

საკონკურსო პროგრამაში რუსუდან გლურჯიძის ფილმი „სხვისი სახლი“ მონაწილეობდა, ფესტივალის ევროპული დოკუმენტური ფილმების საკონკურსოს სექციაში კი თომა ჩაგელიშვილის ფილმი „მე არ გადავკვეთე საზღვარი, საზღვარმა გადამკვეთა მე“ იხილეს.

ორივე ფილმი ეროვნული კინოცენტრის კონკურსების გამარჯვებული პროექტებია.

გარდა ამისა, საქართველო წარმოდგენილი იყო ევროპის კავშირის პროგრამის ფარგლებში გამართულ სესიაზე. სხვადასხვა შინაარსის დისკუსიებში მონაწილეობდნენ ეროვნული კინოცენტრის კინოექსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელი - დავით ვაშაძე, საქართველოს წარმომადგენელი ევრიმაჟში - თამარ ტატიშვილი, კრეტიული ევროპის მედიადესკის წარმომადგენელი - ნოშრე ჩხაიძე, CineDoc Tbilisi-ს დამფუძნებელი - არჩილ ხეთაგური და კინოცენტრის წარმომადგენელი - თეა გაბიძაშვილი.

2 ქართველი რეჟისორის გამარჯვება ბურგასის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ბულგარეთში, ბურგასის საერთაშორისო კინოფესტივალზე ქართველმა რეჟისორებმა მთავარი ჯილდოები მოიპოვეს.

ლევან თუთბერიძის ფილმი “მოირა” ფესტივალის საუკეთესო მხატვრული ფილმი გახდა, ნიკოლოზ ბეჟანიშვილის “შავი კვადრატი” კი საუკეთესო დოკუმენტური ფილმის პრიზით დაჯილდოვდა.

ფესტივალზე ასევე აჩვენეს სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის ფილმი “როცა დედამიწა მსუბუქია” და ვანო ბურდულის “გაყინული შადრევნების წელიწადი”.

ტატო კოტეტიშვილი CICLIC-ის ჯილდოს მფლობელი გახდა

ანსის საერთაშორისო კინოფესტივალზე ტატო კოტეტიშვილი ანიმაციური ფილმის პროექტით “მალლი დღეები”(Dog Days) CICLIC-ის ჯილდოს მფლობელი გახდა.

CICLIC არის ფონდი, რომელიც აუდიო-ვიზუალური ხელოვნების განვითარებას ემსახურება. მას საკუთარი სკოლა და ანიმაციური ფილმების სტუდია აქვს.

ანსის ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალის ბაზრობაზე ტატო კოტეტიშვილმა მისი პროექტის წარდგენის შესაძლებლობა ეროვნული კინოცენტრის, ანსისა და ნიქოზის საერთაშორისო კინოფესტივალების ერთობლივ კონკურსში გამარჯვების შედეგად მოიპოვა, რომელიც წელს უკვე მეორედ გამოცხადდა.

ქართველი კინემატოგრაფისტების წარმატება კინოშოკის ფესტივალზე

3-10 სექტემბერს ანაპაში კინოშოკის საერთაშორისო კინოფესტივალი გაიმართა, რომელიც ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის წარმატებული აღმოჩნდა.

პრიზი საუკეთესო მუსიკისთვის გადაეცა ქართველ კომპოზიტორ ნუკრი აბაშიძეს ფილმისთვის “მოირა”. ჟიურის სპეციალური პრიზებით კი 2 ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმი დაჯილდოვდა - დავით ფირცხალავას “მამა” და დეა კულუმბეგაშვილის “ლეთა”.

საერთაშორისო კინოფესტივალი „კინოშოკი“ ანაპაში 1992 წლიდან ტარდება და ამ პერიოდის განმავლობაში მან პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალის სახელის მოპოვება შეძლო.



ქართველი კინემატოგრაფისტების წარმატება სახალინის საერთაშორისო კინოფესტივალზე

ნინო ბასილიას ფილმი “ანას ცხოვრება” სახალინის საერთაშორისო კინოფესტივალზე “Край света” 2 პრიზის მფლობელი გახდა. ნინო ბასილია საუკეთესო რეჟისორად აღიარეს, ეკა დემეტრაძე

კი რომელიც ფილმში მთავარ როლს ასრულებს, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის დააჯილდოვებს.

მოპოვებული ჯილდოები მსახიობ ლაშა მურჯიკნელს გადაეცა, რომელიც ფილმში „ანას ცხოვრება“ ერთ-ერთ მთავარ პერსონაჟს ქმნის.

ფილმს უკვე აქვს 2 საერთაშორისო ჯილდო. კინოფესტივალის CINEMA JOVE გრან პრი და კინოფესტივალზე Construir Cine მოპოვებული მთავარი პრიზი Merit Award. 2016 წლის 15-24 ნოემბერს კი „ანას ცხოვრება“ ქაიროს A-კლასის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღებს მონაწილეობას, სადაც იგი საკონკურსო პროგრამაშია წარდგენილი.

სახალისის კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი რუსუდან გლურჯიძის „სხვისი სახლი“. იგი სახალისის კინოფესტივალზე „რუსული გაზეთის“ სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა. რამდენიმე დღის შემდეგ კი ფილმი ესპანეთში, სან-სებასტიანის A-კლასის საერთაშორისო კინოფესტივალის არასაკონკურსო სექციაში აჩვენეს.

სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალი

12-20 აგვისტოს ბოსნია-ჰერცეგოვინას დედაქალაქმა სარაევომ საერთაშორისო კინოფესტივალს უმასპინძლა. სალომე ჯაშის ფილმი „დაისის მიზიდულობა“ ფესტივალის დოკუმენტური ფილმების საკონკურსო პროგრამაში იყო წარმოდგენილი.

რეზო გიგინეიშვილის „მძევლები“ CineLink კოპროდუქციის ბაზრობაზე TRT AWARD-ისა და 30 000 ევროს მფლობელი გახდა. რატი ონელის დოკუმენტური ფილმის პროექტი „შვის ქალაქი“ კი IDFA AWARD-ით დაჯილდოვდა, რაც რეჟისორს მისი პროექტის ამსტერდამის დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე (IDFA) წარდგენის შესაძლებლობას მისცემს.

ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი BIAFF

ბათუმის საავტორო ფილმების მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალი BIAFF ქალაქ ბათუმში 18-25 სექტემბერს ჩატარდა. ეროვნული კინოცენტრი ტრადიციულად ფესტივალის მხარდამჭერია. 25 სექტემბერს, კინოფესტივალის დახურვის დღეს ცნობილი გახდა გამარჯვებულთა ვინაობა. საერთაშორისო ჟიურიმ პრიზები სამ საკონკურსო სექციაში გასცა - საერთაშორისო მხატვრული, დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი ფილმები.

- გრანპრი - „ზოოლოგია“, ივან ტვერდოვსკი, რუსეთი/ საფრანგეთი/ გერმანია
- საუკეთესო რეჟისურა - „უღმერთო“, რალიცა პეტროვა, ბულგარეთი/დანია/საფრანგეთი
- საუკეთესო მსახიობი მამაკაცი - ფარჰად ასლანი, ფილმში „ქალიშვილი“, რეზა მირკარიმი, ირანი
- საუკეთესო მსახიობი ქალი - ნატალია პავლენკოვა ფილმში „ზოოლოგია“, ივან ტვერდოვსკი, რუსეთი/საფრანგეთი/გერმანია
- ჟიურის სპეციალური პრიზი - „სიყვარულის შეერთებული შტატები“, ტომამ ვასილევსკი, პოლონეთი/შვედეთი, „რაუფი“, სონერ კარენი/ზარის კაია, თურქეთი



- საუკეთესო დოკუმენტური ფილმი - „კინომოგზაურები“, შირლი აბრაფამი/ამით მანდემია, ინდოეთი
- ჟიურის სპეციალური პრიზი - „ნათესავეები“, ვიტალი მანსკი, გერმანია/ლატვია/ესტონეთი/უკრაინა
- საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი - „ლეთა“, დეა კულუმბეგაშვილი, საქართველო
- ჟიურის დიპლომი (სპეციალური მოხსენიება) - გადაეცა ორ ფილმს: - „დაკარგული მიწა“, ჰავრაზ მოჰამედი, ერაყი, „როცა ზარების ხმა გესმის“, ჩაზნეიმ ზარიაბი, საფრანგეთი/ტუნისი

BIAFF მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციაში ასევე გაიცა შემდეგი პრიზები:

- ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის პრიზი გადაეცა ფილმს - „დაკარგული სოფელი“, გიორგი თოდრია, საქართველო/ესპანეთი
- ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალის „თოფუზის“ პრიზი გადაეცა ფილმს - „სტუმარი“, ნინო შაბურიშვილი, საქართველო/საფრანგეთი

BIAFF-ის პრიზი კინოხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის გადაეცათ:

- ვადიმ აბდრაშიტოვი (რუსეთი)
- ბერდია ინჭირველი (საქართველო)

BIAFF კინოფესტივალის განვითარებისთვის პრიზი გადაეცა - ანჟეი სლოვიცკის

BIAFF-ის ინდუსტრიული პლატფორმის „ალტერნატიული ტალღა“ პრიზი (კინოაპარატურის არენდის სერვისის ვაუჩერი) გადაეცა შემდეგ კინოპროექტს:

- „ინგა“ - რეჟისორი გიორგი გოგიჩაიშვილი, სცენარის ავტორები - ზაზა კოშკაძე/მერი ბექაური დავით აბრამიშვილი, პროდუსერი - გეგა ხმაღაძე
- დახურვის ცერემონიის დასკვნით ნაწილში გაიმართა დონ ჩედლის ფილმის „წინ მაილს“ ჩვენება.

ქართული ფილმები მექსიკაში, გუანაჰატოს კინოფესტივალზე

მექსიკაში, გუანაჰატოს საერთაშორისო კინოფესტივალზე 2 ქართული ფილმი იღებდა მონაწილეობას.

სალომე მაჩაიძის, თამუნა ქარუმიძისა და დავით მესხის ფილმი „როცა დედამიწა მსუბუქია“ წარდგენილი იყო კინოფესტივალის სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების ოფიციალურ საკონკურსო პროგრამაში.

დეა კულუმბეგაშვილის ფილმი „ლეთა“ კი კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში იღებდა მონაწილეობას.

გუანაჰატოს საერთაშორისო კინოფესტივალი ლათინური ამერიკის ყველაზე მნიშვნელოვანი ფესტივალია, რომელიც 22-31 ივლისს მექსიკაში გაიმართა.

ქართული მოკლემეტრაჟიანი ფილმები საერთაშორისო კინოფესტივალებზე

ანა სარუხანოვას მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დღის ბოლომდე“ ლოკარნოს კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში Pardi di Domani წარადგინეს. შარშან ამავე პროგრამაში (Pardi di Domani) გამარჯვებული და ოქროს ლეოპარდის მფლობელი ქართველი რეჟისორი დავით ფირცხალავა გახდა ფილმით „მამა“.

ტორონტოს A-კლასის საერთაშორისო კინოფესტივალზე ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის, გიორგი სიხარულიძის ფილმი „წითელი ვაშლები“ აჩვენეს. იგი ფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო სექციაში იყო წარმოდგენილი. „წითელი ვაშლების“ პრემიერამ ტორონტოში წარმატებით ჩაიარა, ამჟამად კი რეჟისორი მის მორიგ ფილმზე „სამშობლო“ მუშაობს.

8 – 17 ივლისს ვახო ჯაჯანიძის მოკლემეტრაჟიანი ფილმი “გამოსვლა” დამოუკიდებელი ამერიკული კინოს ერთ-ერთ საუკეთესო ფესტივალზე Maine International Film Festival პროგრამაში World Shorts აჩვენეს. ფილმს უკვე აქვს თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე მოპოვებული ჟიურის სპეციალური პრიზი.

კიდევ ერთი ახალგაზრდა ქართველი რეჟისორის, მარიამ ხაჭვანის ფილმი “დინოლა” ერყის საერთაშორისო კინოფესტივალის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საკონკურსო პროგრამაში მიიღებს მონაწილეობას. “დინოლამ” ჯილდოები 17 საერთაშორისო კინოფესტივალზე მოიპოვა და პირველი მოკლემეტრაჟიანი ქართული ფილმი გახდა, რომელიც ევროპის კინოაკადემიამ შეარჩია.

3 საერთაშორისო კინოფესტივალის საკონკურსო პროგრამაშია წარდგენილი დეა კულუმბეგაშვილის ფილმი “ლეთა”. ფილმს ესპანეთში, რუმინეთში და საბერძნეთში აჩვენებენ. “ლეთას” მსოფლიო პრემიერა 2016 წელს კანის კინოფესტივალის ფარგლებში ფრანგულ რივიერაზე წარმატებით გაიმართა. მას შემდეგ ფილმი არაერთ კინოფესტივალზე დაჯილდოვდა.

თორნიკე ბზიავას ფილმი “მექელებე” საერთაშორისო კინოფესტივალზე La Cabina მიიღებს მონაწილეობას. ფესტივალი ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში 3-13 ნოემბერს ჩატარდება. თორნიკე ბზიავას ფილმი “მექელებე” თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალზე საუკეთესო მოკლემეტრაჟიან ფილმად აღიარეს და ჯილდო “პრომეთე” გადასცეს.

ფილმი წელს კლერმონ ფერანის მოკლემეტრაჟიანი ფილმების საერთაშორისო ფესტივალის საკონკურსო პროგრამაშიც იყო წარდგენილი.



ქართული დოკუმენტური ფილმი “მოუსმინე სიჩუმეს” ლაიფციგის საერთაშორისო კინოფესტივალზე

მარიამ ჭაჭიას ფილმი “მოუსმინე სიჩუმეს” ლაიფციგის საერთაშორისო კინოფესტივალზე მიიღებს მონაწილეობას. ფილმი ფესტივალის საკონკურსო პროგრამაში Next Masters არის წარდგენილი.

დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების საერთაშორისო კინოფესტივალი DOK LEIPZIG

31 ოქტომბრიდან 6 ნოემბრის ჩათვლით ჩატარდება.



ამერიკის კინოაკადემიისთვის წარსადგენად წელს ფილმი „სხვისი სახლი“ შეირჩა

ამერიკის კინოაკადემიისთვის წარსადგენად ოსკარის უცხოენოვანი ფილმის ნომინაციისთვის წელს რუსუდან გლურჯიძის ფილმი „სხვისი სახლი“ შეირჩა. გადაწყვეტილება 9 აგვისტოს ეროვნული კინოცენტრის მიერ სპეციალურად შექმნილმა კომისიამ კინოთეატრ „ამირანში“ მიიღო. კომისიის წევრები იყვნენ:

1. ზაზა ურუშაძე - რეჟისორი
2. მერაბ კოკოჩაშვილი - რეჟისორი
3. გიორგი ოვაშვილი - რეჟისორი
4. ოთარ შამათავა - რეჟისორი
5. კახა კანდელაკი - კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე
6. გოგა პიპინაშვილი - მსახიობი
7. კოტე ჯანდიერი - მწერალი, დრამატურგი
8. ლელა ოჩიაური - კინომცოდნე
9. ნინო მხეიძე - კინომცოდნე

კომისიის წევრებს არჩევანის გაკეთება ოთხ ფილმს შორის მოუწიათ. შესარჩევ პროცესში მონაწილეობას „სხვისი სახლის“ გარდა ნინო ბასილიას „ანას ცხოვრება“, თეონა და ტიერ გრენადეების „ძმა“ და ვანო ბურდულის „გაყინული შადრევნების წელიწადი“ იღებდა.

საქართველოს გადასაღები ლოკაციების პრომო ვიდეო კინოკომისიების საერთაშორისო ასოციაციის სინეპოზიუმზე დააჯილდოვეს

22-24 სექტემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ატლანტაში, კინოკომისიების საერთაშორისო ასოციაციის სინეპოზიუმში გაიმართა, რომელსაც აშშ-ს ყველა შტატისა და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის კინოკომისიონერი ესწრებოდა. სინეპოზიუმის მთავარი მიზანია ჰოლივუდური კინოწარმოების მოზიდვა და კინოგადაღებების ხელშეწყობის გამოცდილების გაზიარება.

ლონისძიებაზე კონკურსის Best Creativity Award შედეგებიც შეაჯამეს და გამარჯვებულები დააჯილდოვეს.


ერთ-ერთ მთავარ ნომინაციაში - Best Video Reel გამარჯვებული საქართველო გახდა. საქართველოს შესახებ გადაღებული პრომო ვიდეო საუკეთესოდ აღიარეს.

სერთიფიკატი საქართველოს კინოკომისიონერს და ეროვნული კინოცენტრის კინოექსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, დავით ვაშაძეს გადაეცა, რომელიც ასევე ესწრებოდა სინეპოზიუმს. 2016 წლის 2 აგვისტოს კინოკომისიების საერთაშორისო ასოციაციამ (AFCI) საუკეთესო გადასაღები ლოკაციების პრომო ვიდეოს გამოსავლენად კონკურსი გამოაცხადა.

კონკურსში 18 ქვეყანა იღებდა მონაწილეობას, მათ შორის საქართველოც.

ხმის მიცემა რამდენიმე კვირის მანძილზე მიმდინარეობდა, 19 აგვისტოს კი გამარჯვებული 423 ხმით საქართველო გახდა.

პროგრამის “გადაიღე საქართველოში” ფარგლებში ქეშ რიბეითის სისტემის დანერგვამ, რომელიც ფილმწარმოებლებს საქართველოში გაწეული კვალიფიციური ხარჯის 20-დან 25 %-მდე უკან დაბრუნების შესაძლებლობას აძლევს, უცხოელი კინემატოგრაფისტების მხრიდან საქართველოს გადასაღები ლოკაციების მიმართ ინტერესი გაზარდა. პროგრამას ეროვნული კინოცენტრი მეწარმეობის განვითარების სააგენტოსთან თანამშრომლობით ახორციელებს.



სახელმწიფო უწყებები ქართული კინოს მხარდასაჭერად გაერთიანდნენ

9 სექტემბერს, კულტურის სამინისტროში, ეროვნული კინოცენტრის ინიციატივითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, ხელი მოეწერა თანამშრომლობის მემორანდუმს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო სტრუქტურები ქართული კინოს მხარდასაჭერად გაერთიანდნენ.

სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, მხარი დაუჭიროს ქართულ კინოს წარმოების პროცესში.

მემორანდუმს ხელი მოაწერეს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, ქალაქ თბილისის მერმა დავით ნარმანიამ საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ვარდიაშვილმა.

მემორანდუმის ფარგლებში ფილმწარმოების ხელშეწყობის პროცესში მონაწილეობენ შემდეგი სახელმწიფო ორგანიზაციები:

1. ქ. თბილისის მერიის სამსახურები:

ა) ჯანდაცვისა და სოც. უზრუნველყოფის სამსახური, თბილისის სასწრაფო დახმარება

ბ) ტრანსპორტის სამსახური

გ) კეთილმოწყობის სამსახური

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

3. შინაგან საქმეთა სამინისტრო

ა) საგზაო სიტუაციების მართვის სააგენტო

ბ) საპატრულო პოლიცია

4. საქართველოს რკინიგზა

5. სასჯელაღსრულების დეპარტამენტი

6. სასწრაფო დახმარების ცენტრი

7. დაცული ტერიტორიების სააგენტო

8. საქართველოს აეროპორტების გაერთიანება

9. რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი (რეგიონებში გადაღებების კურიერება და რეგიონის



თვითმართველობის მხარდაჭერა)

10. საგანგებო სიტუაციების სააგენტო

11. საავტომობილო გზების დეპარტამენტი

12. უსაფრთხოების დეპარტამენტი

ეროვნულ კინოცენტრს, ყველა ზემოთ ჩამოთვლილ უწყებაში ყავს საკონტაქტო პირი, რომელიც უზრუნველყოფს ყველა საკითხის სწრაფად მოგვარებას.

სახელმწიფო სტრუქტურების მხარდაჭერა კინომწარმოებლებს ბიუროკრატიული საკითხების მოგვარებისა და სახელმწიფო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზებით გამარტივებული წესით სარგებლობის საშუალებას მისცემს. მემორანდუმის შედეგად, მხარდაჭერით ისარგებლებენ, როგორც სახელმწიფოს მხრიდან სუბსიდირებული პროექტები, ასევე დამოუკიდებელი კინომწარმოებლები. მემორანდუმი ხელს შეუწყობს უცხოელი კინომწარმოებლებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას.

ქართული პროექტი “მოქალაქე წმინდანი” საერთაშორისო პლატფორმებზე

თინათინ ყაჯრიშვილისა და ლაშა ხალვაშის პროექტმა “მოქალაქე წმინდანი” კიდევ ერთ საერთაშორისო ვორქშოპში მიიღო მონაწილეობა, რომელსაც ორგანიზებას The Mediterranean Film Institute უწევდა. The Mediterranean Film Institute ტრენინგ ორგანიზაციაა, რომელიც ევროპაში სცენარის წერის ყველაზე წარმატებულ პროგრამებს ახორციელებს.

“მოქალაქე წმინდანი” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. მისით უკვე დაინტერესდნენ ისეთი საერთაშორისო პლატფორმები, როგორებიცაა EAVE producers workshop 2016 და La Fabrique des Cinema du Monde 2016. ამჟამად კი პროექტი Script2Film 2016-ისთვის არის შერჩეული.

ქართული პროექტი „დიდი ძუ დათვი“ ევროპული კოპროდუქციისა და დაფინანსების ფორუმზე

ლალი კიკნაველიძისა და მიხო მოსულიშვილის პროექტი “დიდი ძუ დათვი” პრესტიჟული ევროპული კოპროდუქციის მარკეტისთვის შეარჩიეს, რომელიც ნორვეგიის საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში 23-26 აგვისტოს ჩატარდა.

კოპროდუქციისა და დაფინანსების ფორუმი მოიცავს პროექტის წარდგენას, პოტენციურ დამფინანსებლებთან და პარტნიორებთან შეხვედრებს, ლექციებსა და სხვა ინდუსტრიულ აქტივობებს.

“დიდი ძუ დათვი” ეროვნული კინოცენტრის კონკურსის გამარჯვებული პროექტია. იგი შექმნილია მიხო მოსულიშვილის ამავე სახელწოდების კინორომანის მიხედვით.

ევრაზიადოკის შედეგები ცნობილია

ფრანგული ასოციაცია DOCMONDE ევრაზიადოკის 2016 წლის შედეგებს აცხადებს.

სომხეთში გამართულ პრეზენტაციაზე წარმოდგენილმა ოთხივე ქართულმა პროექტმა შეძლო ფრანგი პროდიუსერების დაინტერესება და ფრანგული ტელევიზიების მხარდაჭერის მოპოვება. სომხეთში შემდეგი ქართული პროექტები იყო წარმოდგენილი:

1. “პლატფორმა” - რეჟისორები: ნინო ორჯონიკიძე; ვანო არსენიშვილი;
2. “წინ წინაპრებისკენ” - რეჟისორი: შორენა თევზაძე;
3. “რეანიმაცია” - რეჟისორი: მაკა გოგალაძე;
4. “სანამ მამა დაბრუნდება” - რეჟისორი: მარი გულბიანი;

ევრაზიადოკი 2011 წელს დაარსდა ფრანგული ასოციაციის Domonde ინიციატივით.

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს დოკუმენტალისტებს იდეის განვითარებაში, სცენარის წერასა და შემდგომ, განვითარებული პროექტების ევროპელი პროდიუსერებისა და ტელევიზიებისთვის წარდგენაში.



www.gnfc.ge



საქართველოს კულტურისა
და ძეგლთა დაცვის
სამინისტრო



საქართველოს კინემატოგრაფიის
ეროვნული ცენტრი
Georgian National
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00
ფაქსი: +995 32 299 91 02

info@gnfc.ge

www.gnfc.ge

www.filmcommission.ge